ღარია ივ. ტყეილი იმედია.

გრაფი. რისათვის არის ტყეილი იმედი? და რა იმედი?

ღარია ივ. რისათვის? მე ვეცდები პირდაპირ გითხრათ, ვალერიან ნიკოლაიხ.

გრაფი. განსოვთ ჩემი სახელი?

ღარია ივ. აი რა, აქ... თქვენ მოაქციეთ ჩემწვდ... რაოდენიმე ყურადღება და პეტერბურღში იქნება გეჩვენოთ უკანასკნელბდ და შეინანოთ იმაწვდ, რასაცა ფიქრობთ აქა.

გრაფი. ოჰ, რას ანბობთ! თქვენს თქვენნი ფასი არ იციოთ. განა თქვენ არ გესმაოთ... შეინანებ რაც რამ იქნება თქვენს გაკეთებული, ღარია ივანოენაი..

ღარია ივ. (რა დაინახაეს სტუპენდიეეს,) ესე იგი ჩემის ქმრისათვის გრაფო?

გრაფი. ღიახ, ღიახ, თქვენის ქმრისათვის. შეეინანებ... არა, თქვენ ჯერ კიდევ არ იციოთ ნამდვილი ჩემი გრძნობა... მეც აგრეთვე მსურს პირდაპირ გითხრათ, რასაცა ვგრძნობ..

ღარია ივ. (ამღვრეულობით) გრაფო..

გრაფი. თქვენ არ იციოთ ნამდვილი ჩემი გრძნობა... არ იციოთ...

სტუპენდიეეი (ჩქარა შემოდის ოთახში, გრათს მიუახლოვდება, რომელიცა ზურგ შექცევითა დგა და თავს უკრამს,) თქვენო ბრწყინტალეობაე, თქვენო ბრწყინტალეობაე!

გრაფი. თქვენ არ იციოთ ჩემი გრძნობა ღარია ივა-

ნაენა.

სტუპენდიევი. [ყვირის,) თქვენო ბრწყინებულბავ, თქვენო ბრწყინებულბავ...

გრაფი. (სიჩქარით მიუბრუნდება, უყურებს რამდეს ხანს და დამშვიდებით ეუბნება,) აა! ეგ თქვენა ხართ ალექსი ივანჩი?...საიდან განჩნდით?

სტუპენდიევი, კაბინეტოვან, კაბინეტოვან თქვენო ბრწყინებულბავ. მე აქ ვიყავი, კაბინეტში თქვენო ბრწყინებულბავ...

გრაფი. მე შგონიან სამსახურში ხართ მეთქი. აქ კი მე და თქვენი ცოლი მუზიკის დაკვრით დროს ვატარებდით. უფალო სტუპენდიევი, თქვენ ბედნიერნი ხართ, მე თქვენ ამას ისე პირდაპირ გეუბნებით, ამისათვის რომ მე თქვენს ცოლს ვიცნობ, სიყმაწვილით.

სტუპენდიევი. თქვენ დიდად კეთილნი ბძანდებით თქვენო ბრწყინებულბავ.

გრაფი. დიახ, დიახ, ბედნიერნი ხართ.

დარია ივ. ჩემო მეგობარო, რატომ, აგრე ღგეხარ და მაღლობას არ მოახსენებთ გრაფსა.

გრაფი. [სიჩქარით სიტყუას ართმევს,) ბედნიერნი ხართ!... მუზიკა გიყვართ?

სტუპენდიევი. როგორ არა თქვენო ბრწყინებულბავ. მე..

გრაფი. (დარია ივ. მიუბრუნდება,) კარგა რამ მამაგონდა. რალაც გინდოდანთ გენგენებინათ ქემოვს. დგავიწდათ?

ღარია იე. მე?

გრაფი. ღიახ..თქტენ...

ღარია იე. (სიჩქარით, დაბლა,) ახ, ოჰ, მართლა...ახლაყო მამაგონდა; მე თქტენტვს მინდოდა...მე მინდოდა თქტენტვს მეჩვენებინა ბალი; სადილობამდინ კიდეც ზევრი ღრო არის.

გრაფი. ჰა! [დაჩუმდება,) ჰა! განა ბალიცა გაქტესთ თქტენა?

ღარია იე. დიდი არ არის, მაგრამ ყვაეილები საკმაოთ არიან.

გრაფი. ღიახ, ღიახ, მე მახსოვს; თქტენ ძრიელ გიყვარდათ ყვაეილები. მაჩვენეთ, მაჩვენეთ მე თქტენი ბალი, თქტენი ჭირიმეთ. (მივა ფორტუპიანოსთან შლინაპის ასაღებათ.)

სტუპენდიევი. (მივა ღარია ივანოენასთან და ჩუმათ,) რა... ეგ რას ნიშნავს.. ჰა?

ღარია იე. (ჩუმათ) ან სამ საათზედ უნდა მოსვლა ირჩიოთ, ან ულაგო დარჩომა. (მობრუნდება და ქოლგას იღებს სტოლითგან.)

გრაფი. (დაბრუნდება) მიბოძეთ ხელი. (ჩუმათ.) მე მიგინხედი.

ღარია იე. [უყურებს იმას როგორღაც დაცინებით.] აგრე კგონიათ?

სტუპენდიევი. (თითქოს იფხიზლებსო) მოითმინეთ, მოითმინეთ. ნება მომეცით მეც თან გამოგყვეთ.

ღარია იე. (მედგება უკან მოიხედავს,) შენც გინდა წამოხვიდე, ჩემო მეგობარო! წამოდი ჩუბნთან, წამოდი, წამოდი. (გაღიან ისა და გრაფი ბაღისაყენ.)

სტუპენდიევი. ოჰ, ღიახ...მეტა...მეტა წავალ.

(წამოაველებს შლიაპას ხელს და რამდენსაზე ბიჯს გადადგამს.)

ღარია იე. წამოდი, წამოდი...[გაველენ.]

## გ ა მ ო ს ე ლ ა 21.

### სტუპენდიევი მარტო.

სტუპენდიევი. (რამდენსაზე ბიჯზედ გაივლის, სჭყლეტავს შლიაპას და აგდებს პოლზედ.) ღიახ! ეშმაკმა წაიღოს იმათათაეი, მე ვრჩები აქა, ვრჩები. არ წავალ. (გაივლის და გამოივლის.) მე გამბედავი კაცი ვარ, მე არ მიყვარს გაუბედაობა. მე მინდა ვნახო, მინამ... მე ეს სრულებით ბოლომდინ უნდა ავიტანო. მე მინდა ჩემის თვალებით დავერწმუნდე. აი მე რა მინდა... ეს, მგონია, თანეს დღეში არ გაგონილა ამისთანა საქმე! ოჰ, ვსთქვათ ის იცნობდა სიყმაწვილით; ოჰ, ვსთქვათ ვსეც განათლებული ქალია, ძრიელ, ძრიელ განათლებული ქალიაო — მაგრამ, არა რა სა-

კიროვას მოითხოვს ჩემი გაბრწყელება? ამისათვის თუ, რომ არ გაეზღილვარ კარგათ? პარველი ეს, რომ ჩემი ბრალი არ არის. რალაცაეხსაც თუ ბოღამს ალაგზედ პეტერბულმ, სიცრულეა. გნა შეიძლებს კაცმა დაიჯეროს? როგორ არა, ახლავე მამკემს გრაფი ალაგს. არა, ან თვთან, რა დღეს ბატონი ბძანდება, თავში საცემი თვთან აქტს, იმისი საყმეები სრულებით წამხდნია. — თუნდა ესთქუათ, ჰო, ალაგვი მომცა, ახლა რა არისო, რა საჭიროა მრთელი დღე კულის-კუდ დევნაო. ეს ზგონი ურიგოა. აგიტყვა, ეგ არის, გათავლა კიდევ, ამხედ შედგა. სამ საათზედ... იმას კი იძახის სამ საათზედაო. [საათს უყურებს,] ახლა, სამის ჩეტვერტია! (დგება,) ნოღი წაეალ მეც ბალში, ჰა? [აქეთ იქეთ იყურებს,] ხედამ, არა ჩანან. (მაღლა იღებს ქუდს და ატრიალებს, უნდა დაიხუროს,) წაეალ, დმერმან იცის წაეალ. აკი თვთან, თვთან მე მოთხრა (დასცინის ცოლსა,) წამოღო ჩემო ჰეგობარო წამოღი! (დაჩემდება,) დიან როგორ არა წახვალკი, დიან, მე შენ კარგათ გიცნობ... არა სად წახვალ, რომ წახვალ... ახლავე. ამ საათში, სწორეთ! ეჰ! (შლიანად აგდებს პოლზედ.)

გ ა მ ო ს ე ლ ა 22.

სტუპენდიევი. და შიშა გამოდის პერედნიოგან.

შიშა. (მიუბრუნდება სტუპენდიეს) რა ანბავია? ალექსი ივანიჩ! როგორღაც, თითქოს მოწყენილი ხართო. [იღებს შლიაპას. ბერტყამს და სტოლზედა ზღებს,] რა ანბავია ეგ თქვენ თაეს?

სტუპენდიევი. ჩემო ძმაო დამეხსენი თუ ღმერთი გრწამს დამეხსენი, ნუ მომაბეზრე თავი. შენ მაინც აილე ჩემზედ ხელი. ჭირია?

შიშა. რას მიბძანებთ ალექსი ივანიჩი ნუ ინებებთ, მაგისტთან სიტყვებით ჩემს მოხსენებასა. არა, მე თქუცნთუს, რა დამიშაეებია? ან რას გაწუხებთ?

სტუპენდიევი. (დაჩუმდება,) თქუცნ კი არ მაწუხებთ. (უჩივრებს ბაღისკენა,) აგერ ვინ მაწუხებს.

შიშა. (უყურებს უმანკის ფიქრით კარებს,) გაეგებლავ გკითხოთ, ვინ ის?

სტუპენდიევი. ვინ ისაო?

შიშა. დიახ, ვინ? ის?

სტუპენდიევი. თითქო არ იციო. ის ვილაც გრაფიანო.  
მიმა. როგორ უნდა შეეწუხებინეთ იმას, ან რა სახით?  
სტუპენდიევი. რა სახით!.. დილითგან მოყოლებული და-  
რია ივანოვნას გვერდითგან არა შორდება, მღერის იმასთან,  
სეირნობს. რას ფიქრობ შენ . . . ეს . . . ეს სასიამოვნოა? სასიამო-  
ვნოა — ჰა? ესე იგი ქმარისათვის?

მიმა. ქმარისათვის. არა ფერი.

სტუპენდიევი. როგორ თუ არა ფერი. განა შენ არ გე-  
სმის, რომ გეუბნებიან: ერთათ სეირობს, მღერის მეთქი?

მიმა. მარტო ეგ? რას ბძანებ ალექსი ივანიჩი, ეგ რომ  
ცოდებ არის, რომ აგრე სწუხდებათ? ეგ ხომ სულ შენის  
ბედნიერებისათვის არის გრაფი, დიდი კაცია, ყველგან მიღე-  
ბული, დარია ივანოვნას მცნობი ყოფილბ სიყმაწვილესვე —  
რატომ არ უნდა ისარგებლოს შემთხვევით? სირცხვილიც კია  
გონიერს კაცს თვალით დაენახოთ მან ფიქრებით. მე ვგრძნობ,  
რომ ჩემი ეს გამბედაობა, ურიგოა, მაგრამ თქუტნს სახლ-  
თან ისე დაახლოებული გახლავარ, რომ არ შემოძლიან დაე-  
ფარო ჩემი ერთგულება.

სტუპენდიევი. წადი, დაიკარგე შენის ერთგულებით! (დაჯ-  
დება და ზურგს შეაქცევს.)

მიმა. ალექსი ივანიჩი . . . [დაჩუმდება] ალექსი ივანიჩი!

სტუპენდიევი. (არ იცვლის ჯდება.) რაო, რა გინდა?

მიმა. რატომ აგრე დაბძანდით? წავედეთ სჯობია ე-  
სეირნოთ.

სტუპენდიევი. (იმავე სახით) არ მინდა სეირნობა.

მიშა. წავიდეთ, ღმერთმან იცის წავიდეთ.

სტუპენდიევი. (სიჩქარით მობრუნდება და ხელებს იფშენეტს.) ერთი ღუთის გულისათვის, მითხარი, შენ რაღაზვედ ჩამაცივდი? ჰა? წინწიბუსავით დილითგან დღეს არა მშორდები? დასწყევლა ღმერთმა? ყარაულობა ჩემი.

მიშა. (თავს ჩალუნამს,) სწორეთ, არა გშორდები. სწორეთ ყარაული ვარ.

სტუპენდიევი. (დგება.) მერე, ვინ დაგაყენა ყარაულათ.

მიშა. — თქუპნის ბეღნიერებისათვის ალექსი ივანიჩი.

სტუპენდიევი. მითხარი მოწყალეო ხელმწიფევე, ვინ დაგაყენა?

მიშა. (მეკრთომით,) მხოლოდ გამიგონეთ, ღუთის გულისათვის ალექსი ივანიჩი. ორი სიტყუა გამიგონეთ... მე არ შემიძლიან, ისე ვრცლათ ავიხსნათ... მგონია, წვიმა აპირებს მოსვლას... ისინი ახლავე მოვლენ...

სტუპენდიევი. წვიმა აპირებს მოსვლას და შენც სასეიროთ მიწვევ ჰა?

მიშა. ჩუტნ შეგვიძლიან ისე, ქუჩებში ხომ არა... წავიდეთ... ნუ წუხდებით ალექსი ივანიჩი.. რისა გეშინიათ? ჩუტნ ხომ აქა ვართო.. ყველა ვერ ვზევირამთ... ეგ საქმე მგონია, ცხადად დაინახეება... თქუტნა, აი, სამ საათზედ დაბრუნდებით.

სტუპენდიევი. არა, შენ რაღა დარდს ეწვევი?... იმან ხომ

არა გითხრა რა?

მიშ. იმათ ჩემთვის, ისე, სპუტორივ არა უთქვამსთ რა.. მხოლოდ ისე.. თქვენ ორნივე ჩემი კეთილის მყოფელნი ბრძანდებით. ამასთანავე დარია ივანოვნა ჩემი ნათესავია. აბა, როგორ არა გმართებს თქვენთან ერთგულათ კოფნა. (ართმევს სეღს.)

სტუპენდ. დავრჩები მეთქი გეუბნები. ჩემი ალაგი აქა არის. მე დავარღვეე იმათ განზრახვებს!

მიშა. რასაკვირველია, სახლის პატრონი ბრძანდებით. რაჟი მოგახსენებთ, მე ყველა ვიცი მეთქი...

სტუპენდ. ახლა რაო? — შენა ფიქრობ არ მოგატყუებს. ნუ გეშინიან ძმაო, შენ პატარა ხარ და უგუნური, შენ არ იცნობ ჯერ ქალებს.

მიშა. საიდან უნდა ვიცნობდე მე იმათ.. მხოლოდ აი...

სტუპ. მე გრატს მოეხწარი და ჩემის საკუთარის ყურებით გავიგონე, როგორც არა შორდებოდა; თქვენ, ჩემო ხელმწიფავო, არ იცით ჩემი გრძნობა; მე ვერ გამოვთქომ... ამისთანა რაღაცაებსაცა და შენკი სასეირნოთ მიწვევ..

მიშა. (მწუხარებით.) მგონია, წვიმა კიდევ მოდის... ალექსი ივანიჩ! ალექსი ივანიჩ!

სტუპენდ. აი, რომ ვანბობ, ჩამაცივდა მეთქი. (დაჩუმდება,] მართლა, მგონია მოდის წვიმა!

მიშა. ისინი აქ მოდიან ახლა, ახლა მოდიან ისინი...

(ართმევს ხელს და ეჭიდება.)

სტუპენ. [უძლიანდება,] არა მეთქი, ხელი აიღე. (და-  
ჩუმდება,) ჰხ, მაგრამ, ჯანი გაეარდეს წივიდეთ!

მიშა. მოითმინეთ, მე შლიაპას, შლიაპას. . . .

(ორივე გარბიან პერედნის კარებისაკენ.)

### გ ა მ ო ს ე ლ ა 23.

დარია ივანოვნა და გრაფი გამოდიან.

გრაფი. ჩინებულია! ჩინებული!

დარია ივ. სწორეთ?

გრაფი. მეტად სასიამოვნო რამ არის თქუტნი ბალი  
როგორც თვთან აქ. (დაჩუმდება) დარია ივანოვნა უნდა  
მოგახსენო...რომ მე ამას არ მოეიფიკრებდი. მე სრულებით  
განკვირვებაში ვარ, სრულებით განკვირვებაში.

დარია ივ. რას არ მოეიფიკრებდით გრაფო?

გრაფი. თქუტნი შეიტყუეთ სადაცა ეთქვა. მაგრამ როდის  
მაჩვენებთ იმ წიგნს?

დარია ივ. რათ გინდათ?

გრაფი. როგორ თუ რათ მინდა...მე მინდოდა შემეტყუო

ამასაც ვგრძნობდი, რომ სიწყმაწყვლეში ი, რასაც ახლა ვგრძნობ, თუ სხვასა?

დარია ივ. გრაფო, სჯობია განვლილს საქმეს! აღარ შევვინებთ.

გრაფი. რისათვის მითომ? განა ღირს ივანოვს ანა ხელდავთ, როგორი მოქმედება მოახდინებდეს ჩემზედ?

დარია ივ. [ამღვრევით] გრაფო . . .

გრაფი. არა, ჯერ მე გამიგონებთ... მე თქვენს სწორებს გეტყვი. როდესაც ახლა აქ მოველი მე ასე შეგონა... მომიტყევთ სისწორით თქვენს, ასე შეგონა ჩვენს აღრინდელს მეგობრობის განაახლებდით . . .

დარია ივ. (თავს მალლა იღებს,) თქვენ არ შემიტყვი და იმისათვის. დარხართ მაგ აზრზედ.

დარია ივ. (ღიმილით.) მერე, გრაფო, მერე.

გრაფი. მერე ვიფიქრე, ამისთანა ქალთანა მაქვს საქმე, რომელიცა დააბრკოლებს კაცსა მეთქი. ახლა უნდა გაგიტყდით და ვითხრა, რომ თავი სრულებით შემერყა მენს ნახტაზედ.

დარია ივ. თქვენ დამცინით გრაფო . . .

გრაფი. მე, თქვენ დამცინით?

დარია ივ. დიხს, თქვენ? დავსხდეთ გრაფო. ნება მიბოძეთ ვითხრათ ორი სიტყვა (სხდებიან.)

გრაფი. (ჯდება.) თქვენ კიდევ არ მიჯერებთ?..

დარია ივ. თქვენა ვსურთ, რომ გამიგონოთ? კარგია

თითქოს ზრ ვიცი, როგორი მოქმედება მაქვს  
თქუპნზედ. დღეს, ღმერთმა იცის, თქუპნ როგორ მოგწონვა-  
რთ, ხუალ კი, დამიფიწყებთ. (გრაფს უნდა ილაპარაკოს და  
ღარა ივანოვნა აყენებს) აბა ჩემს ალაგს თქუპნ იყენეთ...  
თქუპნ კიდევ ყმაწვილი ხართ, გაბრწყანტსებული, სცხოვრებთ  
დიდს ხალხში; ჩუპნთან იშვიათი სტუმარი ხართ...

გრაფი. მაგრამ...

ღარა ივ. [აყენებს იმას] ცოტათი შენიშნეთ. თქუპნ ხომ  
იცით ჩუპნი ცხოვრება განსხვავებულია... როგორ მარწმუნებთ  
თქუპნს... თქუპნს მეგობრობაზედ?.. მაგრამ მე, გრაფო... მე,  
რომელსაცა ხვედრათ მრავებია განვატარო ჩემი სიცოცხ-  
ლე განშორებით, მიყრუებულს ალაგს მე უნდა ძვირფასათ  
მიმაჩნდეს ჩემის გულის მყუდროებით ყოფნა, თუ რა მსურს  
თაის დროზედ...

გრაფი. (სიტყუას ართმევს.) გული! გული! გული! განა  
მე არა მაქვს გული? რით იცით რომ ჩემი გულიც... ეს  
გულიც... არ გამოილაპარაკებს მეგობრობაზედ? თქუპნ ანბო-  
ბთ განშორებას! რათ გინდათ განშორებითი ცხოვრება?

ღარა ივ. მე ცუდათ გამოვთქვი გრაფო; მე მარ  
ტოთ არა ვარ — მე არა მაქვს უფლება განდგილებაზედ  
ვილაპარაკო.

გრაფი. მესმის, მესმის — თქუპნი ქმარი... მაგრამ განა...  
განა... ეს მხოლოდ ჩუპნში... ისე... [ჩუმათ ყოფნა.]  
მე მხოლოდ ერთი მაქვს სამწუხაროთ უნდა გაგიტყდე, რო<sup>მ</sup>

ჩემი არა გჯერაეს რა... არა ვიცი რათ მიგაჩნივართ ცრუ  
ჯაცად... რომ არ მერწმუნებით...

დარია ივ. (დაჩუმდება და გვერდზედ შეხედავს) როგორ გერ-  
წმუნოთ გრაფო?

გრაფი. (ხელს აართმევს. ივანოვს თითქოს ჯერ სურს  
მიცემოდ, მაგრამ მერმეთ აართმევს. გრაფი გულმხურვალედ  
(კოცნის.) დიახ, მერწმუნეთ, დარია, მერწმუნეთ.. მე თქვენ  
არ გატყუებთ-მე ჩემს პირობას ადვასრულებ. თქვენ იცხო-  
ვრებთ პეტერბურგში... თქვენ.. თქვენ ნახაეთ. თქვენ განმო-  
რებით არ იქნებით.. მე მაგაზედ თავდებათ გიღვებით. თქვენ  
ანობთ რომ დაგივიწყებ? მე ვწუხვარ, რომ თქვენ არ და-  
მივიწყოთ!

დარია ივ. ვალერიან ნიკოლაიჩი

გრაფი. რაო, თერთან თქვენს ხედავთ თუ არა, რო-  
გორი შეურაცხება არის ჩემთვის. მე ხომ შემძლიან ვიფი-  
ქრო, რომ თქვენც სიცრუით მელაპარაკებით.

დარია ივ. ვალერიან ნიკოლაიჩი

გრაფი. (თან და თან მხნევედება და დგება,) მაინც რა  
საქმე გაქუს, როგორც უნდა აზრი გქონდეთ ჩემზედ. მე..  
მე უნდა გითხრა, რომ სულით და გულით მონდობილი ვარ,  
ერთის სიტყვით მიყვარხარ, ძრიელ, ძრიელ მიყვარხარ და  
მზათა ვარ დაჩოქილმა შემოგფაცოთ.

დარია ივ. დაჩოქებით გრაფო? (დგება.)

გრაფი. დიახ, დაჩოქილმა, თუ არ მიიღებთ სამასხარაოთ.

დარიაიე. რათა, რათ მივიღებ სამასხარაოთ, ეს, უნდა  
დაგიტყდე, სასიამოვნოც უნდა იყვეს. ძრიელ სასიამოვნო  
ქალისათვის [სიჩქარით, მიუბრუნდება ლუბინსა.] დაჩოქით  
გრაფო, თუ მართალს მეუბნები სიყუარულხედ და თუ არ  
დამცინით.

გრათა. დიდის კმაცოფილებით დარია ივანოვნა, თუ რომ  
ამით დარწმუნდებით მაინც.

(გაჭირებით, იჩოქებს ძლივს,)

დარია იე. (მიუახლოვდება გრაფსა,) მომიტყევეთ გრაფო,  
რას ჩადით, გეხუმრებოდით, ადექით!

გრაფი. (უნდა აღგეს, მოცადინეობს აღგომბს და ვერ  
მოუხერხებია,) სულ ერთია, დამანებეთ.

დარია იე. გთხოვ, ადგეთ. (წინა ოთახის კარებიღვნ  
გამოჩნდება სტუბენდიევი, რომელსაცა ძალათ იჭერს მამა,)  
ადექით. [დარია ივანოვნა ანიშნებს და თვითანიც სიცილს  
ძელივს იჭერს.] ადექით...

(გრაფი განკვირებით უყურებს და შენიშნავს ნიშანს.)

დარიბ იე. ადექით, გეუბნებიან.

გრაფი. (არა ღგება,) ვის ანიშნებ?

დარია იე. გრაფო, ღუთის გულისათვის ადექით.

გრაფი. მაშ, მომაწოდეთ მაინც ხელი.

გ ა მ ო ს ე ლ ა 24.

ისინივე, სტუპენდიევი და შიშა. სტუპენდიევი ამ ლბა-  
ჩაკას დროს, მოვა გრაფთან. შიშა დგება კარებთან. და-  
რია ივანოვნა უყურებს გრაფსა და ქმარსა, მაღლა იცინის, და  
დაეშვება კრესლახელ. გრაფი ამღვრეულობით იყურება გარ-  
შემო და დანახავს სტუპენდიევს, რომელიცა თავს უკრავს.  
გრაფი შენანებით მიუბრუნდებ.

გრაფი. მიშველეთ აედგე, მოწყალეო ხელმწიფეო!.. მე,  
როგორღაც... აქ დავჩოქე... აბა, მიშველეთ წამოედგე!

(დარია ივანოვნა სიცილს თავს ანებებს.)

სტუპენდიევი. (აღლებში ხელს ჰკიდებს და აყენებს.) მე-  
სმის თქუქსნო ბრწყინუალებავ... მომ ტყვეთ, თუ რომ შე...  
ისე. . . .

გრაფი. (შენანებით,) ძლიან კარგი... მე თქუქსნ არასფერს  
არასა გკოთხავთ. [მიუხლოვდება დარია ივანოვნას,] კარგი  
დარია ივანოვნა, ძვირელ კარგი, ძვირელ გმადლობ...

დარია ივ. [მაილებს სახის ცვლილებას,] მე რითა ვარ  
დამნაშავე ებლერიან ნიკოლაის?

გრაფი. თქვენ სრულებით არა ხართ დამნაშავე, რას ბძანებთ! არ შეიძლება არ გაეცინო იმაზედ, რასაცა სასაცილოსა ვხედავ. მე თქვენ ამხედ არ გამტყუნებთ მერწმუნეთ. მხოლოდ როგორც ახლა შეენიშნე თქვენ და თქვენს ქმარს მოლაპარაკებული გქონდათ ჩემი ეს გაბრძოლება.

დარია ივ. თქვენ რითა ფქრობთ მგასა გრაფო?

გრაფი. რითა? ამით, რომ ამ გეარ შემთხვევაში თავის დღეში არ იცინიან და არცა რას ანიშნებენ.

სტუბენდ. (რომელმაც ყური მოჰყრა.) მომიტყევეთ თქვენო ბრწყინებულებავ, ჩვენ არაფერი არა მოგვილაპარაკინია რა, გარწმუნებთ თქვენს, თქვენო ბრწყინებულებავ. [მიშა სერტუჯის კალთასა ჰსწევს.]

გრაფი. (შეწუხებულის სიცილით დარია ივანოვნისას,) ამის შემდგომ, თქვენ ვეღარ იმართლებთ თავსა... (დ ჩუმიდება.) მგებამ, რაზედ უნდა იმართლოთ თავი. მე ამის ღირსი ვიყავი.

დარია ივ. გრაფო...

გრაფი. ნუ თხოულობთ მოტყევასა, გთხოვთ. (დაჩუმიდება. თავისათვის.) როგორი შეტყევეა! ერთი მხოლოდლა ლონის-ძევა დამჩამია გამოვიდეს როგორმე ამ სულელურს მღკამარებასგან (მადლა დარია ივანოვნისას,) დარია ივანოვნისა?.

დარია ივ. გრაფო?

გრაფი. (დაჩუმიდება,) თქვენ ეჩნება გგონიათ, რომ ჩემს

სიტყუას არ აღვასრულებ, ახლავე წაველ და არა ვთხოვ-  
ლობ თქვენგან არას პასუხის გებასა? მე, იქნება უფლებბ-  
ცა მქონდა, მომეთხოვია, ამისათვის, რომ წესიერს კაცთან  
ამისთანა ხუმრობა არ გამოდგება; მაგრამ მე მსურს შეიტყ-  
უოთ, ვისთანაცა გქონდათ საქმე... ამისთანავე მე ყოველთვის  
მშენიერი არსების პატივისმცემელი ვარ, თუკი მას მაშინაც  
როდესაც იმათგან სავსოთ მომხდებდა ხოლმე... მე სადილოთ  
აქ დაეჩები, თუ რომ სტუპენდიეის ნებაც იქნება, და  
გაძლივთ სიტყუას, ჩემი აღტყუელა უწყველოდ აღსრულ-  
დება...

დარია ივ. ვალერიაან ნიკოლაიჩ, მე იმდღე მაქუთს, არც  
თქვენ იქნებით მაგ ფაქტით ჩემხედ თქვენ არ იფიქრებთ,  
განა, რომ მე არ ვიცი დფახებ... არამე, გულა მმტკო-  
ვლა თქვენის სულგრძელობით... მე თქვენ წინ დამწმენვე  
ვარ; მაგრამ მე თქვენ გამოცნობთ, რაგორც ხალა სტუპენ-  
ოდ გაგიცანით მე თქვენს...

გრაფი. აჰ! მომიტყევეთ! რა სჭირია ეგენი... ეგ მდ-  
ლობად არა ღირს... მაგრამ ოინების მოხერხება რაგორ კარგა-  
თა გცოდნიათ!

დარია ივ. გრაფო! ხომ იცით, ოინებს მაშინ უფრო  
კარგათ ჩაიღწნ, როდესაც იცი, გრძობ, რასაც ლაპა-  
რაკობ.

გრაფი. ჰა! თქვენ კადევ... არა, ახლა კი მომიტყევეთ-ორ-  
ჯელ ერთმანხედ ველარ გაეგებში. (სტუპენდიეის მიუბრუნდე-

ბა,) მე თქუტუნთვს ახლა იქნება ძრიელ სსსაცილო ვიყო, მაგრამ მსურს დაგიმტკიცოთ, რომ მე ვარ თქუტუნი სსსარგებლო კაცი...

სტუპენდიევი: თქუტუნო ბრწყინებულადაც, მერწმუნეთ, მე.. (მხარეზედ.) აქ სრულებით არაფერი არ მესმის..

გრაფი. საკმაოა, საკმაო..

დარია ივ. თქუტუნ კი ვალერიან ივანიჩ, მოგახსენებთ მაღლობას პეტერბურღში.

გრაფი. წიგნსაც მაჩუტუნებთ?

დარია ივ. გაჩუტუნებთ? და იქნება პასუხითაც.

გრაფი. მე არასფერში არა ვნანობ....

დარია ივ. მე იქნება ეგ ვერა ესთქუა.

(გრაფი აღერსით, დარია ივ. უღიმებს.)

სტუპენდ. [მხარეზედ, რა საათს უკურებს.] მე, მე მოველი სამის ჩეტვერტში და არა სრულს სამ საათზედ.

მიშა. (გაბედვით შიუახლოედება დარია ივანოენა,) დარია ივანოენა, მე რაღას მაძერებით, მაგანია სრულებით დამევიწყეთ... მე რამდენსა ვცდილობდი მე!

დარია ივ. (ჩუმ თ.) არ დამევიწყებხარ.. (მალლა,) გრანუო, ნება მიბოძეთ წარმოგადგინოთ ერთი ყმაწვილი კაცი... (მიშა თავს უკრავს.) მე ამაში დიდს მონაწილეობის მიმღები ვარ და თუ რომ...

გრაფი. თქუტუნ მაგამი მონაწილენი ხართ? ეგ საკმაოა.. ყმაწვილო კაცი, მმეიდლობიანთ იყავით. თქუტუნ თავის დღე-

ში არ დაგივიწყებთ.

მიშა. [სინხარულით,] თქუნო ბრწყინებულეზავე.

გ ა მ ო ს ე ლ ა 25.

ისინივე, აპოლონ და ვასილიევა.

აპოლონ. (შეშოდის პერედნითგან,) სპეგელი...

ვასილიევა. (აპოლონს უკან გამოჰყევება,) სპეგელი მზათ  
გახლავო.

სტუპენდიევი. აბა, თქუნო ბრწყინებულეზავე, უმორჩი-  
ლესათა გთხოვო.

გრაფი. (ღარია ივანოვნას ხელს გაუყრის, სტუპენდიეს,)  
ნების მოგეცემო?

სტუპენდ. როგორც თქუნო ნება გახლავთ. (გრაფი და  
ღარია ივ. მიუახლოდებიან კარებს,) მაგრამ მე მოკვლო სხა  
მი ჩუტევეტში და არა სამ სათხელ...სულ ერთო; მესრუ-  
ლებით აქ არა მესმისრა. მაგრამ ჩემი ცოლი, საკვირველი  
ქვიანი ქალია!

მიშა. წაიღეთ ჩინებულო ქვიანო კაცო!

ღარია ივ. გრაფო, ახლავე გთხოვ მოტევებას, როგორი

სოფლიური სადილი გეაქტეს.

გრაფი. კარგი, კარგი. მეორეთ ნახვამდინ პეტერბურღში  
სოფლელო ქალო, პროვინციალკბე! (\*)

(დასარული.)

---

[\*) ნამდვილში ზოგი ერთს აღავს ფრანცუზული სიტყუები არის  
ნახმარბი ქართულში არ გვისმარბია. —

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ს  
მ ა ს ა ლ ე ბ ი .

(გ. ბროსესი).

1686 წელსა, რადგანც იმერეთის მეფე ბაგრატ იყო უშვილო, — (როდესაც იმერეთი აიღო შახ-ნავაზმა, ბაგრატის შვილი მოიტაცა, და ინახავდა ქართლში როგორც თვთან თავის სიცოცხლის დროს, ისე იმის სიკვდილის შემდეგ იმისა შვილი ქართლის მეფე გიორგი, საიდუმლოთ.) იმერლებმა სთხოვეს კახეთის არჩილს, მისულიყო იმერეთში და მიეღო მეფეობა იმერეთსა; ამაზედ თანახმა შეიქმნა და განაგებდა იმერეთში იმ დრომდინ, მინამ ოსმალები მოადგებოდნენ იმერეთის სამშლობარს. რა დაამარცხა არჩილმა ოსმალები მცირე ჯარით, მოვიდა ოსეთში, როძელიცა მდებარეობდა საქართველოსა და ჩუქუბების შუა. რამდენჯერმე მოუგზავნეს იმერლებმა არქიელნი და დარბაისელნი დაბრუნებულყო ასევე იმერეთში და ეძქენა დაჟარს ეუბნებოდა იმაზედ, რადგანც მიეღო ქვემეჯრომობა თავის სურვილით რუსეთისა და ახლა ვეღარ წავიდოდა რუსეთის წინააღმდეგად. შახ-ნავაზი აგრეთვე თავის მხრივ იბარებდა არჩილს რომ მისულიყო და ემეფა კახეთში. ზოლო სულ

თანმა, ქართლის მფლობელის გიორგის თხოვნითა, აიყენა იმერეთის ტახტზედ საიდუმლოთ შენახული და გარზდილი იმერეთის მეფის შვილი, მამინ, როდესაც რომ იმერლის მეფე, ალექსანდრეშ, თავის სიცოცხლისავე დროს [1442 წელს] გაუყო რა თავისი სამეფო თვის სამ შვილს, პირველს მისცა იმერეთი, მეორეს კახეთი, ხოლო მესამეს ქართლი.

არჩილს უნდა წსულყო და ეცოვრნა მოსკოვში, მაგრამ რუსეთის ხელმწიფის ნება იყო დარჩომილიყო საცხოვრებელად ყიზლარში; ამაზედ გაგზავნა არჩილმა რუსეთში მოციქულად ერთი თვის დარბაისელ თავანი, სახელად დიმიტრი, და სთხოვდა ნებას მოსკოვში წასვლისას. უკეთუ რუსეთის მეფე ამაზედ თანაშა არ შეიქნებოდა, მაშინ ამას ცხადად დაანახებდა საქრთველოს, რუსეთის უკუზადღებობას.

მაინც რუსეთმა არ მიხედა იმ არჩილის თხოვნას და გამოგზავნა იქიდან თავდა თეოდორე თეოდორესძე ეოლკონსკი და ეასილი მიხაილოვის ძე იმ შროთ, რომ ჩაეგანებინათ არჩილის თვს, უკეთესი იქნებოდა იმსათვის ეცხოვრა ყიზლარში, სადაცა გაუკეთებდნენ რიგინს სასახლეს და სადაცა შეეძლო ეცხოვრა თავის ცოდმელოთ უკოფად.

1683 წელსა, არ დღესად რჩილში დიმიტრის დაბრუნებას და გაგზავნა სხუა მოციქულება, რომელთა პაოთ ითხოვდა მიეცა ბძანება, მოსკოვში წასვლისა, ამ ხელ პაუხად მოუფრდა, რომ გამოგზავნილები იყენენ იმსთან ამ სგანზედ ეოლკონსკი და ეასილი მიხაილოვი; მაგრამ მაინც კიდევ იმას

უჩხედნენ, რომ დარჩომილიყო ყიზლარში საცხოვრებლად, და თავის დროზედ კი, ნებას მისცემნენ მოსკოვში წასვლი-სას, ხოლო რაც მეცხებოდა არჩილის შეილებს, ბატონის-შეილთ ალექსანდრეს და მათეს, ისინივე უნდა გავზავნილიყვნენ მოსკოვში და ამასთანავე ბძანება იყო, არჩილს ჯამაგარისათვა მოემატებინათ კადევ წელიწადში, ოცდაათი თემანი, — სრულ-ლებით, აღრინდელილს ჯამაგირით უნდა მიეღო ას ოთხმო-ცი თემანი.

დიდი ხანი არ გამოხულიყო ამის შემდგომს, რომ ასტ-რახნითგან, რუსეთის ელჩის ქალაღდა მოვიდა მოსკოვში და თან წარმოადგინეს წიგნი, საიდუმლოთ მიწერილი არჩილთან, მთის ხალხის გაჰგებელს ეამეარინისაგან, რომელიცა სწერდა, თავი დაენებებინა არჩილს რუსეთისათვა, მამხრო-ბიყო იმას და დაეფუძნებინათ ოსეთში ერთი სამეფო. ეს წიგნი ჩაეარდნოდა ხელში ერთს რუსეთის ეტფულს დარბა-ისელს ოსსა.

შემოდგომას [13 აგვისტოს) მოვიდნენ მოსკოვში, იმე-რეთის მეფის არჩილის შეილები ალექსანდრე და მ.თე. ამით მიართევს რუსეთის მბძანებელს, არჩილისგან გზმოგზავნილი სათხოვარი, რომელშიაც იწერებოდა: იმერეთმა ვაეგზავნა არჩილს, ერთი, აღრევე თან მოყოლილი იმერეთითგან, ღრ-მად მოხუცებული არჩიმანდრიტი, ორის ძეარჟასის თელე-ბით მოქედლის ხატებითა, — და როდესაც თუჩვე მოჰყო-ნდა, გზ.ზედ მთის ხალხის მბძანებელს დაეჭირა, ხატებიც

წაერთო და თითონ ის აკნიმანდარიტიც ტყვეთ წაყენინებინა. იმ ხატებთან ყოფილიყო აგრეთვე წმინდხნაწილები, მდიდრად მოკაზმული სახარება და ძვირფასი შესამოსი

1685 წელს, ამ შემთხვევების შემდგომს, ნება მოუვიდა არჩილ მეფეს, წასულიყო მოსკოვში, გზაზედ მისცეს მოთანამდებო პირები, თავადი ანდრია ივანესძე გალიცინი და ახნაური სტეფანე ლავჩიოვი. მეფე არჩილ და მეუღლე იმისი მივიდნენ მოსკოვში და შეიქნენ ღირსნი სასახლეში წარდგენსა,

1687 წელსა (10) დეკემბერს მოვიდა მოსკოვში, ტფილისითგან, მეფის გიორგისაგან ლაერენტი [ეს იყო ძმა ბრჩილისა] მოციქულად, ამან მოიტანა ამბავი, რომ სპარსეთის შახის ძალდებნებით გიორგიმ მიიღო მუსულმანების სარწმუნოება, და ამის გამო, შახმაც ნება მისცა ტფილიში მისვლისა და ხანობაც მიანჭა ტფილისში. ამასთანავე ამასაც დაუმატებდა არჩილი, თუმცა გიორგი მეფე გათათრდა, მაგრამ მაინც სარწმუნოება ქრისტიანობრივი არ დაუტევებია: ამენებს ეკლესიებს, შედის ეკლესიაში, იცვავს საქართველოს და სზოგადოდ ქრისტიანებს იცვავს მაჰმადიანთაგან. ლაერენტი ამაშიც გამოტყდა, რომ გიორგი შექნილიყო შახის სრულ ქვეშევრდომად, — სპარსეთითგან გამოეგზავნა შახს ჯარი, მტკერის პირზედ, ზოგი ერთი საქართველოს ქალაქების დასამშვიდებელად, რადგანც იყვნენ წინა-

აღმდგენი.

გიორგი სწერდა რუსეთს, რომ არჩილმა დააგდო თავისი სამეფო, აოხრებული მტერთაგან, და რა ნახა მტერმა არჩილის მოსკოვში წასვლს, უფრო მეტად ააოხრეს, ამისათვის ითხოვდა გიორგი მეფე, ეკითხნათ მის ძმის არჩილისათვის, რადგანც უფრო იცოდა გარემოება თავისის სამეფოსი, რა ღონის-ძიება მიეღო, რომ მოეყვანა წესში ის აოხრებული და ატიალებული სამეფო. ამასთანავე, ქართლის მეფე ამტკიცებდა, რომ ერთი ღონის-ძიებალს იყო დარჩომილი ამის შესრულებისათვის: არჩილ მეფე დაბრუნებულიყო მოსკოვითგან საქართველოში, სადაცა ერთად შეეძლოთ ემოქმედნათ და მაშინ იქნებოდა კიდენ, რომ სრულებით საქართველო მოეყვანათ რუსეთის ქვეშევრდომობაში.

სიტყვიერი თხოვნა არჩილისა, რუსეთის ხელმწიფესთან მდგომარეობდა მბსში, რომ მიეცა შემწეობა რუსეთს, ემეფნა იმას ძმას გიორგის საქართველოში, მყუდროებით და მოსვენებათ; და თუ რუსეთი არ მისცემდა გიორგის შემწეობას, მაშინ მრთელი საქართველო შესაძლებელი იყო გამაჰმადიანებულიყო. თუმცა იმერეთიც სულთანის და მახის ქვეშევრდომათ არ იყო, მაგრამ აძლევდა კი მცირე ხარკსა, ხუთის წლის განმავლობაში; სულთანმა კიდევ აიღო ერთი საშზღებრხედ მდებარე ქალაქთაგანი; უკეთუ ინებებდა რუსეთის ხელმწიფე, და გამოუშვებდს იმერეთში ათასის კაცით

მაინტარი, მეფე არჩილ აგრეთვე სთხოვდა რუსეთს, საქართველოს და რუსეთის სამძღვარზედ, დაფუძნებულყო რამდენიმე ქალაქი, სადაცა დაესახლებინათ ყაზახები, რომლით უფრო საიმედო იყო ოსმალოების მოგერება.

1688 წელსა, რუსეთმა რა მაილა კიდევ ზოგი ერთი ცნობა არჩილისგან, გამოუცხადეს მას, რომ რადგანც შაშინ რუსეთსა ჰქონდა ომი ოსმალოსთან და ყირიმის ხანთან, ამისათვის ჯერ იმისათვის ძნელი იყო მიეცა იმერეთში წამოსაყენად ჯარი, და როდესაც ეს ომი გათავდებოდა, მაშინ იმერეთს არ დაევიწყებდა რუსეთი; და უკეთუ მეფე არჩილს სურდა თავის ქვეყანაში წამოსვლბ, თავისი ნება იყო, ამას არაფერ უშლიდა.

არჩილ ამაზედ შეიქნა უკმაყოფილო, და იტყოდა, რომ უკეთუ ჯარს მისცემდა რუსეთი იმერეთში წამოსაყენად, ეს იქნებოდა უკეთესი შემთხვევა, რადგანც რუსეთს-ცა ჰქონდა ომი ოსმალოსთან; და გიორგი მეფეც რომ მოსულყო საქართველოში, არჩილი ამას იტყოდა. ამას გარდა ითხოვდა, ერთი პოლკი მაინც მოეცა რუსეთს და გზაზედ წამოსვლის დროს რამდენიმე კაცი, რომ უშიშრად წამოსულიყო.

ამ თხოვნაზედ რუსეთი თანახმა შეიქნა, იმ პირობით, რომ მოსულყო არჩილ იმერეთში, გარდა ამისა, გზის სახარჯოც მიეცა ხუთასი თუმანი; მაგრამ უფროსი შეილი არჩილისა ალიქსანდრე უნდა დარჩომლიყო მოსკოვში ამაზედაცა სთხო-

ელა არჩიო, რომ ჟურისი შვილი დაენებებინათ წამოყვანა იმერეთში; არც ამხედ უთხრა რუსეთმა უარი. — არჩილმა წამოიყვანა თან, თავისი ორავე შვილი: ალექსანდრე და მათე, ხოლო მეფლვე, დედოფალი ეკატერინე, დარჩა მოსკოვში. არჩილის შვილებს მიეცათ გზის ხაჯი ექვსას ორმოცდა ათი თუმანი, ხოლო დედოფალს ეკატერინეს, მოსკოვში საცხოვრებლად დაუნიმნეს ორასი თუმანი წელიწადში. —

1689 წელსა, 26 ივლისს, მოვიდა მოსკოვში თუშების ქვეყნიდან მთხრობელა, გაბრიელ დიაცვანი, გამოგზავნილა ალექსანდრე და მათე ბატონისშვილებისგან, რომელნიც უთვლიდნენ, როდესაც არჩილ მეფე მოვიდა თუშების ქვეყანაში, მაშინათვე გაგზავნა კაცი, თავის ძმა გიორგი მეფესთან, შეეტყუა: შეეძლო არჩილს მისელა იმერეთში, თუ არა? გიორგი მეფისაგან და იმერლებისაგან, მოუყვარა ცნობა, რომ იმ დროში გამგებელად მყოფი იმერეთისა, არას გზით არ შეტუვებდნენ, მხოლოდის უნდა მისულიყო საშზღვარზედ, სოფელს ცედისში, სადაცა დახვდებოდნენ მრავალნი მომხრენი და თითონ გიორგი მეფეს ჯარით არჩილ წავიდა თვით მცირე კაცებით სოფელს ცედისში; იმერეთითგან სამი დღის სხვალზედ მოეგებნენ იმერეთის დარბაისლები ათასის კაცით და როდესაც შევიდა ცედისში, იქ დახვდა თავისი ძმა გიორგი, რომელსაც ჰყვანდნენ თან, მრავალნი დიდებულნი და ამას თანავე ოცი ათასი ჯრის კაცი, იმ აზრით, რომ გამოეძია

იმერეთიდან იმ დროს მფლობელი, და ტახტი მიეცა არჩილ მეფესათვის.

1690 წელს, მივიდა არჩილითგან გაგზავნილი იმერელი მკ რი მოსკოვში, სადაც მოახსენა რუსეთის კარს, რომ როდესაც არჩილ მეფე მოვიდოდა იმერეთში, გზაზე, ჩამონდა ოსეთში, აქ გაუშვა თავისი ორივე შვილები და თვითან გამგზავრდა თავის სამეფოსაკენ, მაგრამ როდესაც მიუახლოვდა რაჭას, აქ დახვდნენ წინააღმდეგნი მეომარნი, თავადი ერისთავი ორი ათასის კაცით და იმერეთის ჯარი შვიდი ათასი მხედარი. აქ შეხვდა არჩილს აგრეთვე იმერეთის მეფეს ალექსანდრეს რომელიცა უფროსობდა თხუთმეტი ათას ოსმალის და იმერლების ჯარსა. გაიმართა ომი: ერისთავმა და ალექსანდრემ დაუწყეს არჩილს ბრძოლა, ხოლო გიორგი დადიანმა სთქუა უარი ომზედ, რადგანც არჩილის ჯარი უფრო მეტი იყო. ამ ბრძოლაში ბევრი კაცი ამოწყდა ორივე მხრივ, შემდგომს არჩილს და იმისი ძმა გიორგი გაყენენ დადიანს და მივიდა რა არჩილ ოდიში, იქ დაჰყო ერთი წელიწადი, მერე წაიდა საზაფხულოთ, აბჯანეთში მაის ზღვის პირას, რომელიცა იყო იმერეთის მეფეების მფლობელობასა ქვეშე. აბჯანები არიან ოცი ათასამდინ მცხოვრებნი და იმყოფებიან ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზედ, თუმცა წირვა ლოცვა კი არ იციან და არცა რა დედლები ყუანან. არჩილ, იმერელი მაკარი იტყოდა აგრეთვე, იმყოფება ახლა ოდიშში, მოელის სულთანისგან პასუხსა, რადგა-

ნაც კაცი გაუგზავნიათ დადიანს, ერისთავს და აბხაზეთის მხედართ მთავარსა, და სთხოვენ ალექსანდრე მეფას ტახტი-ითგან გადმოგდებას და არჩილ მეუის იმერეთას ტახტზედ აყენასაო.

ოღისში მყოფობის დროს არჩილს მოუედა ანბავი, რომ იმისი მვილები, ალექსანდრე და მათე წასულიყვნენ ასტრახანში, სადაცა იმყოფებოდნენ მშვიდობიანათ, ამ ანბავმა მეტად ასიამოვნა.

არჩილ სწერდა რუსეთას ხელმწიფეს, რომ იმისმა ძმამ გიორგი მეფემ მიიღო წიგნი სპარსეთის შახისაგან, რომელიცა ითხოვდა გაეგზავნა იმასთან თავისი ძმა ლევან და მვილი ბაქარ, რომელთაც მიიღებდა დიდის პატივით. — ბატონისმვილმა წიკოლოზ დავითის ძემ, ისარგებლა საქართველოს მეფის გიორგის ოღისში მყოფობით, შეკრიბა ჯარი და აღარ შეუშო საქართველოში, უნდოდა თითონ დაეჭირა სამეფო ტახტი. არჩილ ურჩევდა გიორგი მეფეს, მიემართა ამ საგანზედ თხოვნით, რუსეთის ხელმწიფისთვის. —

## მატყლის სარეცხი ქარხანა ტფილისში

ი. მ. მ.ზოციანისა.

იტყვიან, ამა და ამ ქვეყნის ხალხი მდიდარიაო; იტყვიან დაწინაურებული არისო; განათლებულიო, დიდა ბიჯი გადადგა კაცობრიობაშიო. რა მნიშვნელობა აქვს საყვარელო შუთხელო, ამ სიტყვებს; ან დაწინაურება, განათლება, დიდა ბიჯის გადადგმა, რომელია? შეძლება მართული ხალხი რომელიმე ქვეყნისა განათლებული იყოს, დაწინაურებული ზნეობით ქვეყანაში, მაგრამ თუ აკლია, შინაგანური დაწინაურება, თუ აკლია სახლის უზრუნველობა, თუ გამოკლებულია ცოლმეილში ბედნიერად ცხოვრებას, რომელიცა დამოკიდებულია შეძლებაზედ, — მაგრამ, ამას რას ვანბობ? დაწინაურება, განათლება, დიდა ბიჯის გადადგმა კაცობრიობაში, განა დამოკიდებული არ არის შეძლებაზედ, ცხოვრების ღონის ძიებაზე? მაშინ მიდის კაცობრიობა წინ, როდესაც ღონის-ძიება აქვს ცხოვრებისა; ქართლი, მართლად და ბრძენთაგან ნ.თქვაში ანღაზა არის: ჯერ თაო და თავო, მერე ცოლო და შვილოცო, ჯერ კაცს ლუკმა უნდა ჰქონდეს, კუჭი მაძლარი, და მერე ისე უნდა ფუქრობდეს საუბა საქმის-სთვისაც. როდესაც კაცი მაძლარია, ის მაშინ ყუათიანათ და გაბედვით მიზღვეს ყოველის ფერს, ის მაშინ, აღარას

ზოგავს, წინ ბიჯის გადადგმისათვის, — რა ალაგი უჭირავს შეუძლებელს, ღონე მოკლებულს კაცს კაცობრიობაში? არაფერი! ის გამორჩეულია ყოველ ამ სოფლის ბედნიერებას; ის მრთელი დღე ფიქრობს მხოლოდ თავის რჩენისათვის; ის მრთელი ღამე ატარებს ფიქრში, ცხოვრებისათვის; იტანჯება, შფოთავს, ვერ ისვენებს, ტრიალებს და თუ ცოლით და წერილის შეილებით დატვირთულიც არის, მაშინ ეაი იმისი ბრალი! აღუწერელია მაშინ იმისი საცოდავ მდგომარეობაში ყოფნა? მაშინ ის სიცოცხლითვე ანთებულს საკირემია; — ეინ შეხედავს იმას, ეინ მიაქცევს იმას ყურადღებას, ეინ არის იმისი პატრონი, — იმისი ნუგეში მხოლოდ ერთი ღმერთია, რომლის სახელს გულშემსკეპალული, ხშირად ამოუტევებს ხოლმე პირითგან და ამაში ჰპოვებს რაღასაც სანუგეშებელს; მრთელს კაცობრიობას, რა არ შეუძლიან! განა იმას ის ძალა არა აქვს, რომ ამ გვარი ერთი და ორი, და ოთხი; არა, ათასი და მეტი შეითვისოს? განა არ შეუძლიან, თვისი ნაკვეთი გამოიყენოს ამ მდგომარეობითგან? მაგრამ ახლა ეს ვიკითხვით, კაცობრიობას რომელნი პირნი შეადგენენ, ღარიბნი ხალხნი, რომელნიც ჩაფლულნი არიან მწუხარების ღრმა ფიქრებში, ხომ კაცობრიობაში არ ირიცხებიან. თუნდა დავრქვათ კაცობრიობა, რა გამოუვათ ხელითგან? არაფერი! მაშასადამე, კაცობრიობის შემადგენელნი არიან მდიდარნი, შემძლებელნი; ისინი, რომელნიც არ არიან მოკლებულნი ლუკმის შოვნის ღონის-ძიებას, იმათი ვალია, საწყალო ხალხნიც მოაქციონ თავიანთ კაცობრიობის სიაში; იმათი ვალია, იხრუ-

ნონ, თავიანთ ნაკვეთისათვის? წამალი დააღონ იმ იარას, იმ ჭრილობას, რომელიცა აჭუსთ ერთერთ ტანის ნაწილზედ და რომელსაცა იქნება კიდეცა გრძნობდნენ, მაგრამ ყურს არ ათხოვებენ; აგრე, იტკივებს, იტკივებს და მერე თვთანვე დაამდებო. — დიახ, დაამდება, ჩემო პატროსანო მდიდარო, მეძღვების მექონევე, ლუკმას ადვილათ მომპოვებლო, როდესაც სრულებით მოისპობა ტანჯევა ამქვეყნად ღარიბისა; როდესაც სრულებით მოაკლდება ამ დიდებულს და მშვენიერს ბუნებას და დაუტყეებს მწარე ჯ სილატაკეში ცოლს, წერილ შვილებს, რომელთ ტირილის და გოდების ხმა აღიწევა ცად მიმართო გამლელ გამომლელნი, ერთს შეხედამენ და გაიელიან, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო; თითქოს ამ ღეთისაგან კეთილად დაწესებულს ქვეყანაში, ეს ასე უნდა იყოსო; ზოგი ახლო დამნახელი იტყვის: რა უყოთ, ღეთისაგან ასე არის დაწესებული; კაცი იბადება, უნდა მოკვდესო. ერთი ვკითხოთ იმ კურთხეულს, რომელიც ამას ფიქრობს, განა ღმერთმა კაცი იმ ახრით დაბადა, რომ შიმშილით სიკვდილი დაუწესა; თუ კი ამ შემთხვევაში, ღმერთი გამოჰყავს მიზეზათ, კაცის სიღარიბეში სიკვდილისა, რატომ ამას კი არ მოიგონებს, რომ ჩვენმა მაცხოვარმა ჰძანა; ძის შეეწიეო აგერ, მოდის, ეკიბაჟით, რომელსაცა გაუდის პრიალი, შიგ დონჯ შემოყრილი, შლიაპა გვერდზედ, თეთრის ლაიკის ფერჩატკებით, წყვილი ჩინებული თეთრის ცხენებათ, მოდის კაცი, მოილიღინებს და ისე უყურებს სხვა კაცებს, თითქოს

ბუზები არიანო; თითქოს ეს საწყლები, იმისი სახისანი არ არიან და სხუა რაღაც სახე აძეეთო; რომ დაეჯახოს, ერთ ერთს ამისი გაპრიალებული ეტლი და გაჭყლიტოს, თითქოს მატლი გაიჭყლიტაო. იმას კი აღარა ფიქრობს, რომ ეს ისეთივე მატლია, როგორც მატლი თუთანა ბძანდება; ეს ისეთი მომაკვდავი ქმნილება არის, რა მომაკვდავიც თითონ! აი, ჩენი ქვეყნის წინ ბიჯის გადაღმა რა მდგომარეობაში არის; აი, რა არის მიზეზი, რომ ჩვენში განათლება ისე ჩქარის და ფიცხის სიარულით ვერ მიაღწევს დანიშნულს ალავს; ამისთანა მდგომარეობაში ხალხს მიედგომივართ და მოეთხოვთ რომ წინ წადიო, იმას კი აღარა ეფიქრობთ, რომ მუხლები არ ემოზრჩილებიან, ყუათა გამოლევით მიმშილოთ! .. ამ ორიოდ რაღაცა სიტყვების მწერალს, თავის სიცოცხლის გამოვლაში, არა სჭირებია პირფერობა, — ისე უყურებთ ჩუპნ ძმებს, მდიდარს, თუ ღარიბს; დიდს თუ პატარას, რომ სულ ერთად მიგვაჩნია და ვიზებაც ეს ზემო ნათქვამი მამყავს, ჩემო მკითხველო, არ იფიქროთ, რომ მიფერებით მოგვდიოდეს? დარწმუნებული უნდა იყო ჩემო კარგო მკითხველო, რომ ცნობითაც არა გვაქვს ცნობა, მაგრამ ამ დროში, როდესაც — ჩენი ქვეყნის ზნეობითი მდგომარეობა, ვერა სუფევს თავის დანიშნულს ალავს, რომ იშვიათი მაგალითი მოხდეს რამ, ეალად გვაწევს გამოვთქვანთ საქვეყნოდ. — რამდენი ღარიბი, ღატაკი, და ოხერ ტიალი ახევეია ჩვენ ტფილისის ქალაქს რამდენნი გამოსალმებიან ამ

წუთი სოფელს, კარ და კარ ტანტალშია ლექმა პურისათვის! რამდენი შექნილა მსხვერპლად უპატიურობისა ცხოვრებისათვის! რამდენი მაგალითები ვაძღვთ, რომ მშობელს დედას, რა დაუტანებია შიმშილს ძალა, თავისი პირმშო, ერთად ერთი უმანკო ქალი, რომლის დეთიურად გათხოვებით, შეცდლო მოვპოვებინა ბედნიერება კარგის ქმარ შვილოვნობით, თავისის ხელით მიუცია იმ საშინელის ბოროტების ბრწყალეებისათვის, რომელიცა ინტოპს თანის ღრმა უფსკრულში საუკუნოდ და ჰყოფს უბედურად!— არა დედანო, არა ჩემო დებო, არა შეიღებო, დღეითგან თქვენ გექნებათ საზრდო, დღეითგან პატიოსანის ოფლით გამოიკვებებიან თქტნი საყვარელნი წერილ შეიღები; დღეიდგან მოისპო დღიური ლუკმისათვის ტანჯვა, — მხოლოდ ლოცეთ ის, ვინც არის მიხეზი, ვინც გამოგიყვანათ შეუბრალებელის და შეუწყნარებლის თქტუნის ბედის-წერითგან! — ხომ ეგრე მიხვდი მკითხველო, ვიხედ მოვიყვანე ეს ამდენი ჩემი საუბარი? მამ მე შენ გეტყვი, მხოლოდ კარგათ დააკვირდი სქმეს, მართალს ვანობ თუ არა? მე ეს მოვიყვანე, მატყლის სარეცხ, იე. მინ. მიზოვეისგან დაფუძნებულს ქარხანაზედ, ტფილისში მტკერის პირას. — უფ. მიზოვემ გაბკეთა ორთაქალის მხროსკენ, მტკერის პირას, ქარხანა მატყლის გასარეცხი; წყლის პირას გამართულია ორთაქალის მაშინა, რომელსაცა ამოაქტს წყალი ზემოთ, სადაცა არის დიდი შენობა; ერის დიდს სახლში აუზებია მომართული, ცალს კუთხეში დგას დიდი ქვიტვირის

ფეჩი, ამაში გადის, ჯერ წყალი ცხელდება, შემდგომ ჩადის აუზებში, რომელთაც დახვევიან დედაკაცები თავიანთ წერილ შეილებით და რეცხამენ, სხვა მხარეზედ დგას რამდენსამე ალაგს დახურული ფიცრებით ჩარდახები, აქ ჰკიდებენ გასაშრობათ; ზოგნი ყმაწვილები, ზოგნი დიდრონი დედაკაცები, თუ მოხუცი კაცები, ჰფენენ ამ მატყლსა. ბევრნი ბრიან იმ გვარნი კაცი თუ დედაკაცი, რომ წერილ შეილები ჰყვანან და ესენიც მოუღის იქ ამ სუბუქ სამუშაოზედ, — ყმაწვილებს ეძლევათ დღეში, [თუნდა სამის წლისა იყოს, მიიღებენ) ორი შაურითგან ერთ აბაზამდინ; დიდრონებს ცხრა, ათ შაურამდინ; მე მგონია ამათში, ბევრნი იმ გვარნი ვრავნენ, რომელთაც თავისის შეილებიც რომ ვიანგარიშოთ, შეიდი, თუ რვა აბაზი აიღონ დღეში! რა გგონიათ მკითხველო, კეთილი საქმე არის თუ არა? როგორც ყური მოვებრით და შეეიტყეთ სარწმუნო კაცისაგან, უ. მიზოვეს ჰქონია აზრად, შეეწიოს რითიმე საწყალს ხალხს, ქერივ ოხერს, ობოლს, ღარიბს; და ეს მოუგონია. დასამტკიცებლად ამის მოვიყვანთ ერთ შემთხვევას: ერთ დღეს, მიდის ქარხანაზედ, უ. მიზოვეი და ხვდავს, რომ თავსმდგომი ერთი ქერივი დედაკაცის ყმაწვილებს ერეკება, და თითონ დედის მიღებაჲ სურს. აქ ძალიან გაწყრება ქარხანის პატრონი და ეტყვის ამ დეთითურის სიტყვით: შეილო! შენ აძლევე ფულისა, თუ მე? ჩემი ფულისა რა პატრონი ხარ, რომ უმლი ისარგებლონ ობლებმა? ეს ქარხანა იმისათვის ჰი არ გაეხსენი

რომ დიდი ზინითი შევიზინო, ამისათვის გაეხსენი, რომ საწყალმა ხალხმა ლუკმა იქონიოს. მეორე კადევ სხვა ამ გვარი შემთხვევა; წვიმიან დღეს მოღას ხედაეს, რომ ეს ხალხი მუშაობს (უნდა ესთქვათ რომ ეს ხალხი, წვრილ ფეხობით ხუთასზედ მეტი უნდა იყენენ და არა ნაკლებნი) ამზედ გაწყრეს, ხელი ააღებინოს მუშაობითგან და გამოუცხადოს, რომ წვიმიანი დღე თუნდა იყოს, მაინც ყველანი მოვიდნენ, საქმეს ნუ გააკეთებენ და ფასი კი საღამოზედ სრულებით მიიღონ. აბა ჩემო მკითხველო, როგორი გახლავთ? განა რომ კეთილი საქმეა! ჯერ ერთი რომ რამდენი საწყალი ხალხი გამოჰყავს სიღარიბითგან; რამდენს იხსნის ქურდობისგან (რომ საქმეს ვერ იშოვნის კაცი, მას რა ქნას) რამდენს ამორებს საძაგელ კცევას! — ღმერთმა ინებოს, მიბაძონ ამ პატრიცემულს ქარხანის პატრონს, ზოგი ერთმა ჩვენმა მდიდრებმა, და გამოიყენონ ხალხი შეიწროებულ მღვთმარეობითგან. ამ ჟამად კი, ეს მაღალკეთილმობილური აზრი ეკლთენის უფ. მიზოევს, რომელიცა ყოვლის ღონისძიებით ცდილობს გამოიყენოს ღარიბი ხალხი შეიწროებითგან. — ეს ისეთი სანაგალითო საქმეა, რომ ამ გვარი კეთილი საქმე არ დარჩება უნაყოფოთ.

ი. კ.

## ჩვენის ნაცარ ქექიების

ანუ

ორი ვირის-თაკის მხსაბავზე.

ჩვენ, სოფელში მცხოვრებნი, შორს და მ-მყუროებულს ალაგს, ძრიელ ყურადღებით ვკითხულობთ ქართულს ენაზედ გამოცემულს რაც უნდა წიგნი იყოს, გინდა ჟურნალი, გინდა გაზეთი, თაჲს ანგარების მოყვარულს სასოფლო გაზეთის დამატებით. თუ იმ გვარი ზნეობითი რამ დაწერილია, დიდის აღტაცებით ვადვიოთხანთ ხოლმე ორჯელ, ზოგჯერ სამჯერაც; მაგრამ, ჩვენ ქართველების საუბედუროთ, რომელთაც გვიყვარს ლაზღანდარობა და ამ ლაზღანდარობაში უგვანო ლანძღვა, როდესაც შეგვხვდება ზნეობის წინააღმდეგი და ჩირკის მოსაცხოზი საუბარი, მაშინ კი, ისე შეგვაძულებს გაზეთს თუ ჟურნალს, რომ მართელს წელიწადს არამც თუ წავეკითხავთ, რომ შემოგვიტანენ ამ ჟურნალს თუ გაზეთს, ისე საზიზღრათ მიგვაჩნია, არა თუ ზელს მოკიდებთ, იმ სათაშივე ვუჩვენებთ ან ეზოს კარებს, ან.....

ასე დაემართა, ჩვენ დროებასაც, როდესაც წაგიკითხეთ ამ წლის, 31 ნომერი. დალოცვილი ზოგნი ერთნი, იტყვიან, რომ არაინ კითხულობს გაზეთსაო; კისაც მიზღის გაზეთი, რომ ყურადღებას არ აძლევსო, რომ ფანჯრებს აკრავსო, რომ არ ინახავსო; — ერთი მიბრძანეთ მკითხველო ღვთის გულისათვის, რა შესანახებია რაღაც დაჯღაბნილი თათაებზე? რომელი ყური უნდა იყოს შეზღელილი, მოისმინოს ლანძღვა და თრევი ისე უმესაბამო, რომელიც არც სულს ეკერის და არც ხორცსა. ჩვენ უნდა წაგვკათხოვნ ის, რაც მოუხდებოდეს ჩვენს უიმისოთვე დაცემულს ზნეობას; გაუგონიანთ აღია მომკვდარაო, და ის კი არ იციან რომელი ჭლია, ან მუსია; — გამოდიან ზოგნი ერთნი თუ არა კვერცხის ბუდიდგან, იმ წამსვე კალამს მიეარდებიან, იმათ ეს კალამი ჰგონიანთ უეჭველია, ან ბურთი და ან ჩილიკა ჯოხი. — გაგონილი აქვსთ, მწერალი სწერსო; მწერალი ხალხს დაქადაგებსო, მწერალი ბოროტს და კარგს საქვეყნოდ გამოჰფენსო; ამის ნაცულად, იმით პირითგან გამოდის მხოლოდ ლანძღვა, მრთელი იმათი აგებულება დაფუძნებულია ლანძღვაზედ ვისაც არ ესმის, ტაშს უკრავს; ვისაც ესმის დასტინის; ერთის ტაშის დაკვრა ისე გააგიჟებს, რომ ასის კაცის სიცილი და დაცინება ვერას გააწყობს იმაზედ; ყმაწვილობაც რას მისდევს, — ქებას ერთისას, და არა ასის კაცის დაცინვას. მე დარწმუნებული ვარ მკითხველო, ვინც გონიერი კაცი და ჭკუა დამჯდარი წაიკითხავს ჩვენს ნაცარქექიებს ანუ ორი ვირის

თავს, ის ცხადად გაჰციცხავს და ბევრსაც შეუკურთხებს იმის  
დამჩხაბავს, ის ცხადად დაინახავს იმის ტუტუტურს გამო-  
ხატულს სურათში მტრობას, — მერე როგორ მტრობას?  
ბოროტულს, დესპოტიზმურს! ის თითონა ლანძღავს თბვის  
თავს; ამას თვთონ ისიცა გრძობს, და თუ ეს ასე არ  
ყოფილიყოს, მაშინ ის შეუპოვრად და გაბედვით გამოა-  
ჩენდა თავის თავს. მართალს კაცს არ ეშინიან! ეშინიან  
მხოლოდ მხდალს, ცრუს, მამუზლარს, მტაცებელს და მტყუ-  
ანს; — სიმტყუნე ვთქვი და უნდა ვთქვა, რომ ყოვლის  
მზრით სტყუის ნაცბრქეჭიების დამწერი თავის დაჩხაბულში,  
და თვითონ დროების გამომცემაც, რომ ბეჭდავს ამ გვარ  
უმესაბამო სტატისა. —

ღროებას ბევრნი არა კითხულობენ, და ამისთვის ეინცა  
კითხულობს „ცისკარს“, იმათათვის საჭიროდ დაეინახვთ ამოუ-  
წეროთ, ამ ყოვლბდ უმესაბამო ნაჩხაბითგან იმისი სტყუეტი;  
თი რა ანბავი ვასლავთ და რა დბუჩხაბავს ორი ვირის თა-  
ვის მწერალს. (ქემმარიტათ მი მცხვენია იმას მაგეგრათ, რომ  
თავის დაჩხაბული, ორ ვირის თავზედ აღუშენებია).

მოქმედნი პირნი არიან: მუზაძე, პოეტო რედაკტორი, გო-  
გიელა მისი მესტამბე, ისივე მზარეული, თათია მკითხველი  
ბებერი და ხუთი ნცარქეჭი. როგორც იცი მკითხველი,  
ყველა მასხარობაში და გამოუსადეგ ლაზლანდარობაში გა-  
ზღილი კაცი მისდევს, ჯანბზობას და მასხარობას, რომლით  
მგონია გამოიკვებს თავს ქვეყანაში, ისიც ორიოდ დღეს,

თორემ ბოლოს სიმშლით სიკვდილი უწერია და განხილვის ზამთარ-ზაფხულს ერთი და იმავე პალტოთი სიარული როგორც ამ ხელობის არტისტსა! ამისათვის ორი ვირის თავის მჩხაბავი აღწერს იმ ოთახს, სადაცა ჯამბაზობის როლსა თამაშობს, ამ სახით. „მორთული პატარა ოთახი; ერთ კედელზედ თარი, ჩანგური, ჭიანჭური, სალამური და სხუა საკრავებია ჩამოკიდებული; მეორეზედ კი უცხო ქვეყნის პოეტი და ქალების ნახატებია; ერთს სტოლზედ ჰყრია: ყანწი, თასი, აზარფემა და სხვანაირი გვარი კათხები; მეორეზედ წიგნები, ქაღალდები, საწერ-კალამი და ჯაყეა-დანა (\*) პოლზედ ქაღალდების ნაკვეციები ჰყრია.„ ამ ოთახის დაჩაბნით, უსახელო მჩხაბავმა, დაგვანახვა მდიდრათ მორთული ოთახი, მამასადამე მიგ მდგომასაც უნდა ჰქონდეს, ცოტა რამ შეძლება!... მუშაძესა სძინავს და ძილში ლაპარაკობს, ხან პოეზიაზედ, ხან ხორცზედ, ხან ლობიოზედ და ხან მოიხმობს იმ ბიჭს, რომელიცა არის მზარეულიც, მესტამბეც და აჩივლებს შიმშილზედ, რომ შიმშილით კუჭი ეწეის; პირველში გამოგვიხატავს როგორც შემძლებელს და მეორეში დატაკს ისეთსა, რომ ლობიოს თვთეულს მარცვლებსაც უბრთხილდება—რა ლოდიკა აქვს!—ლოდიკას თავი დაეანებოთ და ვთქვათ ღარიბი არის რედაქტორი, მაგრამ იქამდინ კაცი ზნე-

---

[\*] ამ სიტყვიდგანა სჩანს, რომ ამ ოთხი ვირის თავის მჩხაბავი, უნდა იყოს ზემოთხურონი იმეკელი!

ობით როგორ დაეცეს, რომ განკიცხოს ის, რაც წარმოდგება არა კაცის თავის მოქმედებით, — გარემო შემოზღულულ პირთ მიზნებით. ესთქვათ, უბედურო და არა თუ უბედურო, ყოვლად უბედურო ორი ვირის თავის მჩხაბავო! ის რედაქტორი, რომელიცა გამოსცემს, იმ ქვეყანაში, სადაცა ერთის და ორის მეტი, ანუ სამის მეტი ჟურნალი არ გამოდის, იმ ენაზედ, რომლის ენის ხალხნი თითქმის მილიონ ნახევარი არიან, და ასზედ მეტი ხელის მომწერნი არა ჰყვანან, სტამბაში ერთი კაცო მესტამბეცა ჰყავს და ისიც მზარეულაო, — ესთქვათ კიდევ; თორემ ამ გვართ თავის სტამბა, არ გაგვიგონია რომ ვისმესა ჰქონდეს მომართული, მაინც ეს სიღარიბე რედაქციისა, რა გასაკიცხია? გასაკიცხია კი არა, საქებია, რომ ამ მცირე შეძლებით ასრულებს ის ჟურნალი თავის ვაღს და თავის დანიშნულებას; ყველასთან გამოდის პირ ნათლათ მრთელი წლის განმავლობაში და ღირსებაც იმ გვარი აქვს, რომ ასი (ესთქვათ) ხელის მომწერის წყალობით, კითხულობენ ათასნი, ისე გაძუნწებულნი არიან ფასით კითხვანზედ, და შენცა მგონია ორი ვირის-თავის მჩხაბავო, ის ჟურნალი, რომელზედაცა გიებასა სწერ, მგონია სასუნებლათაც ვერ გენახა, რადგანც ფას ვერ გაიმეტებდი, თუ აქა იქ არ გეტანტალა, და თხოვებით არ გესარგებლა. — შენის და შენ მომდევართ მეოხებით გაღატაკებულს კაცია თუ სხვა რამ საგანი, რომ დასცინოდე, ამაზედ მეტი ბოროტება იქნება სადმე; მერე, როგორი ბოროტება! ეს ისეთი

ბოროტებაა, რომელიცა დაამდაბლებს კაცს, არათუ მარტო კაცობრიობის, თუთან, პირუტყვეების წრეხედაც დაბლა დასწევს! ჩემო საყვარელო მეიოხეელო, როგორა გგონიათ, ამ გვარ რალაყების ჯღაბნას რა უნდა დაეარქვათ? კრიტიკა? სრულებით არა! ეს არის ლანძღვა, თრევა იმ გვარი, რომელსაც გაიგონებს კაცი, ან შუაბაზარში, ან მეიდანზედ საღმე. მაგრამ ეს რა ეთქვი! იქაც ძნელად შეიტყობს კაცი და ძვირად შეხედება იმ გვარს ზნეობა წამხლარს, რომელიც დასცინოდეს თავისეე მიზნით გბლარიბებულს ვისმეს.—სიტყვა ეს კი არ არის, საქმე ის არის, თუ უნდა ვისმე კრიტიკის წერა, აიღოს რამ თხზულება, და გაარჩიოს, რაში სცდება მწერალი და რაში მართალია;—თუ მწერლობზედ არ უნდა თხზულების განჩევა, აიღოს ზოგიერთი პირი ნიმუშით და გამოიტანოს საქვეყნოდ იმისი ბოროტ-მოქმედება.—რომელი ბოროტ-მოქმედება არის სიღარიბე რედაქციისა? რა გასაკიცხინ, ვთქვათ, თორემ როგორც ზემოთსცა ვთქვი, ჯერ ეს არ მომხდარა არსად, —რომ რედაქტორს ბევრი ხელის მომწერთ მოკლებულს ჰყვანდეს, მესტაშზე და მზარეული ერთი და იგივე? —ქართულათ ნათქვამია, ასეთმა ფურმა დამწინლოს, რომ ჩემზედ ბევრს იწველიდესო, მგონია არც იმ გაზედთსა ჰყავს ბევრი ხელის მომწერი, რომელს გაზეთშიაც დაბეჭდილია „ორი ვირის თავი“ და ისიც ვინც არიან, ძალდატანებით და არა თავიანთ. სურვილით ზღილობას რაუყოთ, თორემ უფრო ბევრი რამ დაიწერებოდა იმ ვირის

თავის მწერალზედ, რომელსაც სამი იოტის ოდენი სარგებლობა არ მოუტანია იმ ენისათვის, რომელს ენაზედაც დაუწერია თავისი ოარი ეირის თავი! მიმართულებისას ზომნუ რას ვიტყვი, — ღმერთმა შეინახოს; ისე ბარბაცებს, როგორც ბრმა ხარი; მაგრამ ენა კი მდიდარი ენა აქვს, ამაზედ მიტი ენის სიმდიდრე როგორ იქნება, რომ რასაც ვერ მიხვდება და ვერ გადმოიღებს თავის ენაზედ, იმას, სხვა ენით, გენიშნებს ზმგრელიაში კარგი კლიმატი არისო, — ამაებს რომ გამოვსდგომოდით, რამდენიც რამ გამოვსულა ამ სამს წელიწადში, ერთი იმოდენაც იმაზედ კრიტიკა დაიწერებოდს, — მაგრამ ვისა აქვს ან ოხერი ხალამი რომ მოაციდნოს, ან ოხერი თავი, რომ აიტყვიოს. — რაც შეეხება ლექსების წერას, რომელსაც შეეხება ოარი ეირის თავის მხსაბავი, ღმერთმა ინებოს იმაზედ უყეთესი დაწერილიყოს რამ ზოგიერთს გამოცემულს ფურცელში. თუ იმაზედ დაიცინება, რომ სააშიკო რამ დაწერილა, ან სხვაში რომელი დაწერილა იმ გვარი ლექსი, რომელსაც ბეშფოთებინოს კაციის გული და სული. ბევრჯელ წავეიოთხეთ იმ გვარი ლექსი, რომ თითქმის გულიც ავეირია, მაგრამ არავის კი არა გვეიქომს რა გასაკიცხავი, და არც იმისთანა ვინმე გამოჩენილა, რომ გაერჩივა დაწერილებით. მაგრამ ამას რას ენბობ? ვინ გაბარჩევდა, როდესაც ყურადღება არა ვინ არ მიაპყრა. ამ გვარა ჩხაბა რომ გენდოდეს, ყველანი დაეწერთ; ამ გვარი ნახხაბი, როგორიც არის ოარი ეირის თავი, ყოველს სოფელს უსწავლელს.

ნაცვალ გამოუვა ხელიდგან. დიდი ხანია მქონდა განზრახვა, მეც დამეწერა ამ განმარტოებულს სოფელში, ერთი იმ გვარი რამ, რომელშიაცა გამოშეხატა, ზოგიერთი ცრუ მქედებლები, მაგრამ რადგანც ეს უფრო გამოვიდოდა გი-  
ემა და არა კრიტიკა, იმისათვის, არა ვთქვი რა; მერე ჩემში უფრო, გამოხატული იყო, ის ბოროტება, რომელიცა სჭირს ზოგი ერთ კაცს და სენივით ედება გარეშე მყოფთ. თუ გნებავთ, მოქმედ პირთ კი მოგახსენებ მკითხველო. აი მოქ-  
მედნი პირნი:

1, გიგოლიკა მელაძე, ზემოური იმერელი, ავტორი ჯონჯოლიკასი.

2, მელიქ-ბეგი, წიგნების გამომცემი.

3, ეჩა ბლუკუნაძე. ენა ბორძიკი, ამათი ამხანაღი.

4, ბერიკა ლობემძერაძე, და სხვანი....

ენახოთ, მკითხველო, ჟამთა ვითარებას უყურებთ, — იქნება თხვის დროზედ კი წაგბკითხოთ ეს კომედია, სადაცხ ნათლად დაინახავთ, ყველა ამ მოქმედ პირთ ხასიეთებს. მე ამაზედ შეტს აქ ველბრას ვიტყვი ამის შეტს, თუ რომ დროებაში ამ გვარი რალაცაები შეგვხდა, და არა თუ გაზეთში, თითონ ცისკარშიაც, მაშინ არა მგონია, ჩვენ მხარეზედ კიდევლა წაბკითხოთ. ესეც ხომ სასოფლო გაზეთი არ არის, და გუთნის-  
დედა რომ ძალათ მოგვაჩეჩონ.

კულბზიკაძე.

1868 წელს.

აგვისტოს 15.

სოფელს არ-ააშენას.